ხელშეკრულება #11

,,23"თებერვალი 2011 წელი. ქ.მცხეთა.

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ა) ერთის მხრივ შ.პ.ს. ,,სტ-ოილ"-ი(ს.ნ.205169538)მისი დირექტორის თეიმურაზ მირესაშვილის სახით,შემდგომში გამყიდველი.
ბ)მეორეს მხრივ წეროვნის #2 საჯარო(ს.ნ.236059251) სკოლა მისი დირექტორის ეთერ ჩიხლაძის სახით,შემდგომში მყიდველი.

2.ხელშეკრულების საგანი.

შ.პ.ს. ,,სტ-ოილ"-ის კუთვნილი საავტომობილო საწვავის მიწოდება მყიდველისათვის.

3.მხარეთა ვალდებულებები.

ა)გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს განაცხადით გათვალისწინებული(გამყიდველთან ოფიციალურად შეთანხმებული)ოდენობით საავტომობილო საწვავი.ეტაპობრივი მიწოდების შემთხვევაში მყიდველს გადასცეს შეთანხმებული ოდენობის ტალონი(ქაღალდი),დამოწმებული გამყიდველის კუთვნილი სპეციალური შტემპით ან ბეჭდით.
ბ)მყიდველი ვალდებულია საქონლის მიწოდების დაწყებამდე მყიდველს წარუდგინოს ოფიციალური განაცხადი მისაწოდებელი საქონლის შესახებ.(განაცხადში მითითებული უნდა იყოს საქონლის მიწოდების ფორმა-ეტაპობრივი ან ერთჯერადი).

4.მხარეთა მოვალეობები.

ა)გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი საქონელი(საწვავი).მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მყიდველს კანონმდებლობის შესაბამისად გამოუწეროს შესყიდვის დამადასტურებელი საგადასახადო ანგ.ფაქტურა.
ბ)მყიდველი მოვალეა შესყიდული საქონლის ხარისხის შესახებ (ან სხვა სახის) პრეტენზია წარუგინოს მყიდველს შესყიდვიდან არა უგვიანეს 1 საათისა.

5.მიწოდებული საქონლის ოდენობა და ფასი.

მიწოდებული საქონლის ოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვროს ეტაპობრივი მიწოდების შემთხვევაში მხარეთა ზეპირი შეთანხმებით,(მიწოდების პერიოდში ფასების შესაძლო ცვლილებიდან გამომდინარე)ხოლო ერთჯერადი მიწოდების შემთხვევაში არსებული ფასების შესაბამისად.

6.საქონლის ღირებულების გადახდის ფორმა და გადახდის ვადა.

საქონლის ღირებულებას მყიდველი გამყიდველს აუნაზღაურებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

7.ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება ძალაშია მასზე ერთ-ერთი მხარის მიერ უარის თქმის მომენტამდე,თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8.მხარეთა რეკვიზიტები.

პირველი მხარე,გამყიდველი--შ.პ.ს. „სტ-ოილ".საიდ.კოდი 205169538
იურ.მისამართი-ქ.თბილისი,კანდელაკის ქ.#1. ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი.
.ბ.კ.220101415.ა/ნ.GE76LB0113171202103000. ტ. 899 55 33 73.
მეორე მხარე,მყიდველი -მცხეთის რაიონის ს.წეროვნის საჯარო სკოლა.(სნ..236059251).მის.-
მცხეთის რაიონი,ს.წეროვანი. მ.ბანკი-„ლიბერთი ბანკი'-ს მცხეთის
ფილიალი.ბ.კ.LBRTGE22.ა.ნ.GE85LB0121141510630000.

პირველი მხარე.გამყიდველი
შ.პ.ს. „სტ-ოილ"-ის დირექტორი: /თ.მირესაშვილი/

მეორე მხარე ,მყიდველი
წეროვნის საჯარო სკოლის დირექტორი: /ე.ჩიხლაძე/

შენიშვნა:ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეული ფურცელი მოწმდება ორივე მხარის მიერ შესაბამისი ხელმოწერებით.